თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 17

„17“ სექტემბერი 2018 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დავით ღაღანიძე, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ნანა ხვისტანი, ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე შათირიშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ლევან ლილუაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე მაია მარკოზაშვილი, ფრაქციის ,,ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე ტიტე დარეჯანიშვილი, ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე არჩილი თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
საკრებულოს წევრები: გიგა მამუკელაშვილი და ზურაბ მუსაევი.
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე.
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.
2. ფრაქცია ქართული ოცნება-მწვანეები“-ს დაფუძნების შესახებ.
3. საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>1.მოისმინეს:</u> მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული პროექტების საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: დ.ღაღანიძემ, გ.მამუკელაშვილმა

გადაწყვიტეს: მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტები საკრებულოს კომისიებში განსახილველად გადანაწილდეს შემდეგი სახით:

ეკონომიკისა და ქონების მართვის საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების კახაბერ ძამუკაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია:

1. თელავის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარების 2019 - 2025 წლების სტრატეგიული დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

2.მოისმინეს: ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს დაფუძნების შესახებ.

ნ.ხვისტანმა ბიუროს წარუდგინა ინფორმაცია ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები“-ს დაფუძნების შესახებ.

გადაწყვიტეს: ბიუროს მომავალ სხდომამდე სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილოს ფრაქციის დაფუძნების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.

3.მოისმინეს: საკრებულოს მიერ მისაღებ ნორმატიულ აქტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

ნ.ხვისტანმა აღნიშნა, რომ ცვლილება შესატანია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

ასევე საკრებულოს მიერ მისაღებია ნორმატიული აქტი საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ.

<u>გადაწყვიტეს:</u> 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შემდეგ საკითხებზე:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 მარტის N41 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

ბ) თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ.

2. ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა შესაბამისმა კომისიამ უზრუნველყოს 2018 წლის 20 სექტემბრამდე.
3. ნორმატიული აქტების პროექტები საკრებულოს განსახილველად წარედგინოს 2018 წლის 29 სექტემბრამდე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე გიგა ორკოდაშვილი